



პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
25 იანვარი ორშაბათი 2016
№ 15 (14 749) ფასი 1 ლარი



13



მოვიდა ნაპიდა მოვა...



11

**რაგბის
კავშირში
ახალი
პრეზიდენტია**



2

**შეუძლებელია
ცხადაქვე ეს
პოზიციის
შინარჩუნოს**



14

**ევროშესარჩევზე
ჩერნომორია
სლოვაკეთი
ალბანეთი**

...ახალი მწვერთნელი

საქართველოს ფახბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესკონფერენცია

ლევან კობიაშვილი:

ჩვენ ერთად ვეღარ ვიფუხავებით!

ფახბურთის ფედერაციას საშუალება რომ ჰქონდეს, მწვრთნელისთვის თვეში 120 ათასი ლარის გადახდა მიზანშეწონილად მიიჩნევა არ მიიჩნევა

საქართველოს ფახბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა „მიხილ მესხის“ სტადიონზე გამართულ პრესკონფერენციაზე ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, კახა ცხადაძის ბრალდებას უპასუხა. მას გვერდს უმშვენიერდნენ გენერალური მდივანი დავით მუჯირი და ვიცე-პრეზიდენტი კახა ჭუმბურიძე.

ათასი კიდევ 50 პროცენტს დაეუმატებოდა. სამსუხაროდ, ამ წინადადებაზე კატეგორიულ უარს ამბობდა. ბოლოს პრესკონფერენციის წინა საღამოს შევხვდი. აქედან მოყოლებული, ჩემსა და მას შორის ყველანაირი კავშირი გაწყდა - ცხადაძე ჩემს ზარებსა და შეტყობინებებს არ პასუხობდა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ დღევანდელი დაპირისპირება და დაძაბულობა მისი დამსახურებაა. მერე ჩვენი პრეს-სამსახურის ხელმძღვანელს ოთარ გიორგაძეს დაურეკა და უთხრა, რომ ჩემთან ურთიერთობა ამონურა და დაილოცა აღარ აპირებს.

მეტიც: კახამ სიტუაცია დაძაბა. ვიცით, რომ დაუკავშირდა ნაკრების მოქმედ თუ ყოფილ ფახბურთელებს და დახმარება სთხოვა. ამის გამო, ისინი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ვესაუბრე მათ და ავუსხენი - რა ხდება სინამდვილეში. ტყუილია, რომ ჩემგან ოფიციალური შეთავაზება არ ჰქონია. თუ ასე იყო,

ლევან კობიაშვილის ბრიფინგმა ყველა „ჰოს“ და „არას“ ნერტილი დაუსვა. კახა ცხადაძე საქართველოს ნაკრების მწვრთნელი აღარ იქნება. ეს საკითხი აღმასკომზე გავა და აღმასკომიც ხელს ასწვევს...

ჯერ კიდევ ნოემბერში „ლელოს“ ყურამდე მოაღწია ხმამ, რომ ფახბურთის ფედერაცია მთელი სამწვრთნელო ვერტიკალის შეცვლას გეგმავდა. ამ ხმებით ბევრი რამ არ ვუდებოდა ლოგიკაში, მაგრამ დღეს ეს უკვე რეალობაა...

აქ პრობლემა მარტო ის არ არის, რაც უშუალოდ ცხადაძესა და ფახბურთის ფედერაციას შორის მოხდა. ასაკობრივი ნაკრებებიც არ უნდა დაგვარჩეს განზე. ესეც სამსჯელო თემაა...

ფახბურთის ფედერაცია თითოეული მწვრთნელისგან ითხოვს შედეგს და ახალი მოდელით აპირებს მათი შრომის ანაზღაურებას - ანუ მთავარი კრიტერიუმი შედეგია. ხელფასი პლუს ბონუსი, იმის გათვალისწინებით, თუ რას მიაღწევს ესა თუ ის მწვრთნელი. ძალიანაც კარგი და ფიქრობ, მოუხდება კიდევ საქმეს. რა უნდა იყოს ამაში ცუდი და მიუღებელი?

მაგრამ ჯერ გასარკვევია, რა სტანდარტებითა თუ კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს ფახბურთის ფედერაცია? შევთანხმდეთ, რომ ეს კრიტერიუმები და სტანდარტები ყველასთვის ერთი უნდა იყოს. ასე არ არის?

ჰოდა, საინტერესოა, რატომ არ გაითვალისწინეს ეს ყველაფერი 17 და 19-წლამდელთა მწვრთნელების მაგალითზე? რა, არ ჰქონდათ შედეგი გონა ავსაჯანიშვილსა და ვასილ მაისურაძეს? მაშ, რატომ შეცვალეს ისინი ზედ ელიტრაუნდების წინ? სად არის აქ ლოგიკა?

ეს კითხვები, ვერჯერობით, უპასუხოდა - არანაირი წონადი არგუმენტი მთავარი შედეგიაო და, ამ ცვლილებების გამო, თქვენც მოგეთხოვებათ პასუხი, ბატონებო! შედეგი თქვენმა გადამწყვეტილებებმაც უნდა მოიტანოს.

დაეუშვათ და, ორივე ნაკრები რომ ჩაფლავდეს მოახლოებულ



შუა მდინარე სხენებს არ

ელიტრაუნდებში (რამაც ყველაზე ნაკლებად იქნებოდა დამნაშავენი ვასილ მაისურაძე და გიორგი ყიფიანი) საინტერესოა, რა ფორმით აგებთ პასუხს? გადადგებით?

ჩემი მხრიდან გპირდებით - თუ შედეგი იქნა (ნეტა!), პირველი ვიქნები, ვინც იტყვის, რომ მართლმად იყავით ამ გადამწყვეტილებებში.

რაც შეეხება ცხადაძეს. უნდა თუ არა, მართალია თუ არა, ფედერაცია ვერ ასცდება ეჭვს, რომელიც

ლრლნის გულშემატიკივარს (თუ არ გვერათ, გადით და ჰკითხეთ ნებისმიერ მათგანს) - რომ „ცხადაძე არ იყო ამითი „სასტავის“ კაცი“, რომ „მას განგებ დაუდეს ისეთი პირობები, რასაც კონტრაქტის მოქმედების პერიოდში ალბათ არცერთი მწვრთნელი არ დათანხმდებოდა“, რომ „აიძულებენ, წავიდეს და ახლა მოიყვანენ „თავიანთ კაცს“ და ასე შემდეგ...

ეს ეჭვები თავადვე გააღრმავა

დღეს საბოლოოდ ვაცხადებ, რომ ამ ყველაფრის შემდეგ, ნარმოუდგენელი და შეუძლებელია ცხადაძემ ეს პოზიცია შეინარჩუნოს - ეს თემა ჩემთვის ამოწურულია. დავიცავ იურიდიულ ფორმას და აღმასკომს მოვინვევ, სადაც შევალ ინიციატივით, რომ ცხადაძე ნაკრების მთავარი მწვრთნელი აღარ იყოს.



ლევან კობიაშვილი

და ის საუბარი, რაც კახამ წამოიწყო. მოლაპარაკებები თვეზე მეტ ხანს მიმდინარეობდა. სულ სამი შეხვედრა გვექონდა, სადაც კახას პირდაპირ ვუთხარი - ჩემი მხრიდან აბსოლუტური მხარდაჭერა ექნებოდა და მეგობრულად ვთხოვე გვერდით დამდგომა. ამავე დროს, ჩემი გუნდის მიერ შემუშავებული ანაზღაურების ახალი სისტემა გავაცანით, რომელიც შედეგზეა ორიენტირებული.

ხელფასის 25 პროცენტს რისთვის იკლებდა? ცხადაძე ტყუის, როცა ამბობს, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის შემთხვევაში, კონტრაქტით ხელფასზე დანამატი ერგება. ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისა და მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლის შემთხვევაში, ფიფას მიერ დარიცხული ფულის 30 პროცენტი ისედაც ეროვნულ ნაკრებსა და სამწვრთნელო შტაბს ეკუთვნის.

ეს ჩემი შუარაცხევა იყო!

სპორტის მინისტრმა 2015 წლის ივნისში თქვა, რომ ნაკრების მთავარ მწვრთნელს ხელფასს არ გადაუხდიდა. გვეკითხებიან: თუ ეს თანხა მიუღებელი იყო, მაშინ ცხადაძეს ხელფასს ფახბურთის ფედერაცია რატომ უხდიდა? ივნისში ფახბურთის ფედერაციის სათავეში ჩვენ არ ვიყავით.

სფფ-ს საშუალებაც რომ ჰქონდეს, მწვრთნელისთვის თვეში 120 ათასი ლარის გადახდა მიზანშეწონილად მანც არ მიმაჩნია.

მიიმა მის მოსმენა, რომ კობიაშვილი არაფერს წარმოადგენს და ვილაცის მითითებებს ასრულებს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ 3 ოქტომბრის შემდეგ, ფახბურთის ფედერაციის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ჩემგან და ჩემი გუნდისგან მოდის. ლევან კობიაშვილი ფახბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მის საქმეში ვერაფერს ჩაერევა.

ცხადაძე საუბრობს, რომ მისი მეგობარი ვარ და შეურაცხყოფას არ მომაცხვენს. თუმცა, ამავე დროს, ამტკიცებს, რომ სხვის მითითებებს ვასრულებ. თურმე ცხადაძის გაშვება სპორტის მინისტრს ტარიელ ხეჩიკაშვილსა და ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტს კახა ჭუმბურიძეს სურდათ და რომ ასაკობრივ ნაკრებებში

მწვრთნელებიც მათ დანიშნეს. მეც ვამბობ, რომ კახა ჩემი მეგობარია. მაგრამ ეს განცხადებები შეურაცხყოფელია ჩემთვისაც და იმ ინსტიტუტებისთვისაც, რომლებსაც ის წარმოადგენს.

დღეს საბოლოოდ ვაცხადებ, რომ ამ ყველაფრის შემდეგ, ნარმოუდგენელი და შეუძლებელია ცხადაძემ ეს პოზიცია შეინარჩუნოს - ეს თემა ჩემთვის ამოწურულია. დავიცავ იურიდიულ ფორმას და აღმასკომს მოვინვევ, სადაც შევალ ინიციატივით, რომ ცხადაძე ნაკრების მთავარი მწვრთნელი აღარ იყოს.

სამსუხაროდ, კახასთვის მნიშვნელოვანია კონტრაქტში ჩანერილი ფიქსირებული თანხა და არა ის, რომ დარწმუნებული იყოს თავისი გუნდის შესაძლებლობებში.

უპროცენტო სესხის სახით 100 ათასი დოლარი აიღო, რომელიც მისი ხელფასიდან იქვითება. კიდევ 50 ათასი დოლარი აქვს დასაბრუნებელი. თუ ის ჩვენს წინადადებას დათანხმდებოდა, ეს თანხა განუღებოდა.

ამას გარდა, ის 2009 წელს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. იმის გამო, რომ ბაქოს „ინტერი“ ინვესტა, აღმასკომს წასვლა სთხოვა. მისთვის მთავარი ფინანსური ფაქტორი იყო. აღმასკომმა ცხადაძეს კომპენსაციის სახით 40 ათასი ლარის გადახდა დაავალდებულა, რაც დღემდე არ გადაუხდია.

საერთოდ, ზვიად სიჭინავას პრეზიდენტობის პერიოდში, ფახბურთის ფედერაციის ანგარიშიდან უპროცენტო კრედიტად, დაახლოებით, 800 ათასი ლარია გაცემული. თანხები მიიღეს ფედერაციის ან უკვე ყოფილმა თანამშრომლებმა, ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა და ერთ-ერთმა კლუბმაც.

უპროცენტო სესხი

... 2015 წლის აპრილში კახა ცხადაძემ ფახბურთის ფედერაციიდან



კახა ცხადაძე (მარცხნივ) და ლევან კობიაშვილი

კახა ცხადაძე... სპორტიანი...

ფედერაციამ, როცა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის პოსტი ვაკანტური დატოვა და ცხადაძის თავზე „დამოკლეს მასხვილივით“ ჩამოჰკიდა...

ვერაგინ იტყვის, რომ ცხადაძის ნაკრები ვარსკვლავებს წყვეტდა და არა მგონია, ამის ილუზია თავად ცხადაძესაც ჰქონდეს. მაგრამ დემორალიზებული გუნდი რაღაცნაირად დალაგდა, უფრო მეტად - მოედანს მიღმა, ვიდრე - მოედანზე, მაგრამ

მაინც, ვფიქრობ, პოზიტივი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ნეგატივი ახლა წარმოვიდგინოთ, „იმ“ კაცის მდგომარეობა, ვინც ნაკრების სათავეში უნდა მოვიდეს. რა უნდა მოასწროს? ალბათ, ორი ამხანაგური მატჩი მაის-ივნისში, სექტემბრიდან კი უკვე შესარჩევი ციკლი იწყება.

არ ვარ ადვოკატი არც ერთი მწვრთნელის. არც მათ სახელფასო უწყისებში ვიქცევი. მით უმეტეს, ძალზე რთულია აქ რაიმე სტანდარ-

პაატა გალაშვილი

ტზე მსჯელობა - ბევრს იღებს თუ ცოტას. გააჩნია, ვის რამდენად უღირს თავისი სამუშაო და ვის რამდენი ემეტება ამ სამუშაოს ანაზღაურებისთვის.

აქ ლაპარაკია მიდგომაზე, პრინციპზე - დღეს, ამ მოცემულ მომენტში, მწვრთნელის კონტრაქტის გადახედვა (რაც ბუნებრივად დისკომფორტს უქმნის მას და წნეხში აქცევს) სწორედაც რომ პრინციპულად არასწორია. მერე, კი ბატონო! როცა დავითვლიდით წინილებს 2017 წლის შემოდგომაზე...

ეროვნული ნაკრები სათუთი სფეროა, მით უმეტეს, საქართველოში. ეს არის საფეხბურთო პირამიდის კენწერო და მისი ინტერესები პირველ რიგში გასათვალისწინებელი. საერთოდ, ქორუტეული ჩარევა ხდება მაშინ, როცა ეს გადაუდებელი აუცილებლობაა. ვფიქრობ, ეს აუცილებლობა ცხადაძის შემთხვევაში არ დამდგარა.

ფეხბურთის ფედერაციას პატივი უნდა ეცა მწვრთნელის მოქმედი კონტრაქტისთვის და მხოლოდ ახალი შესარჩევი ციკლის მიხედვით გადაეხედა მისთვის, ან შეეწყვიტა, ან ნაკუნებზე ექცია თუ რაც გნებავთ ის...

ცხადაძემ რაღაც დათმო (ვინმესთვის თუ ცოტა იყოს ეს, სხვა საქმეა), უნდა დაეთმო ფედერაციასაც...

იმიტომ, რომ ის კარნახობს პირობებს და ბერკეტებიც მის ხელშია...

იმიტომ, რომ დღეს ცხადაძე მისი შევიწროებისა თუ გულშემატკივრების თვალში „დაჩაგრული კაცია“, ხალხი კი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, თითქმის ყველა შემთხვევაში დაჩაგრულის მხარეს დგება...

იმიტომ, რომ დღეს ეს აურზაური და ნაკრების გარშემო წყლის ამღვრევა, პირველ რიგში, თავად ფედერაციას არ უნდა აძლევდეს ხელს...

იმიტომ, რომ მათი საქმიანობაც რაღაც ეტაპზე შეფასდება და შეფასდება სწორედ ნაკრების შედეგებით...

იმიტომ, რომ შუა მდინარეში ცხენებს არ ცვლიან...

პაატა გალაშვილი

ფეხბურთის ფედერაცია

დაფინანსების ახალი სისტემა თებერვლიდან ამოქმედდება

„ერთიანი დაფინანსების ფონდის“ პროექტს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უახლოეს პერიოდში წარმოადგენს. ეს სფფ-ის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა და მისი გუნდის წევრებმა განაცხადეს.

ლაპარაკია უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების ერთიანი ფონდიდან დაფინანსების ახალ სისტემაზე, რომლის ამოქმედებასაც ყველა დიდი ხანია ელოდება.

კობიაშვილის თქმით, ბელარუსში ყოფნისას, იქაური ფედერაციის ხელმძღვანელებს შეხვდნენ და საქართველოს ჩემპიონატში მათი მსგავსი სისტემის დანერგვას აპირებენ.

ამის შესახებ უფრო დეტალური განმარტება სფფ-ის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა გააკეთა:

„ეროვნული ჩემპიონატი მალე განახლდება. დასამალი არაა, რომ ფინანსური პრობლემა ბევრ გუნდს აწუხებს. აქედან გამომდინარე, ყველა სფფ-ის მიერ დაგეგმილი რეფორმების გატარებას ელოდება. ფეხბურთის განვითარების ერთიანი ფონდი“ დაარსდა, რომელთანაც მოლაპარაკება აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის პრეზენტაციას თებერვალში ვგეგმავთ, სადაც ახალი ფინანსური ფორმულირება აისახება. ჩანაფიქრის განხორციელებას კი მთელი წლის დასაწყისში ვაპირებთ. ცხადაძე კი იმ ინსტიტუტების მიმართ ამჟღავნებს უპატივცემულობას, სადაც საქმიანობს და ძალიან ცუდად ახსენებს მათ, ვისთანაც აქტიურ თანამშრომლობას ვაპირებთ - სპორტის სამინისტროსა და ბიზნესს. ის ხალხი, რომლებიც 3 ოქტომბრამდე სასაბურთე პირობებში იყვნენ, აგონიაში არიან და არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებ-

ენ. ამის ნაცვლად, სჯობს, ქართული ფეხბურთის კეთილდღეობისთვის გავერთიანდეთ“.

კახა ცხადაძე, სფფ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი: „მიმაჩნია, რომ ბოლო დროს, სფფ-ის წინააღმდეგ კამპანია სწორედ ამ მნიშვნელოვანი საკითხის დასაფარად ააგორეს. ფეხბურთის განვითარების ერთიანი ფონდი“ ქართული ფეხბურთის წინსვლისთვის გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება. მის შედეგებს ყველა დაინახავს და დასახანია, რომ ეს ვილაყვებს აღიზიანებთ“.

მერაბ მამულაშვილი



დავით მუჯირი

ამ თანხის დიდი ნაწილი მსესხებლებს შარშან, სექტემბერში ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, სპეციალური დადგენილებით ჩამოენართ. ჩვენ კი ორგანიზაციაში უმძიმესი ფინანსური მდგომარეობა დაგვიხდა.

კომპენსაცია

ცხადაძემ თქვა, რომ კონტრაქტიდან გამომდინარე, ხელშეკრულების პირობების გადახედვა წარმოუდგენელია. მაგრამ ასე არაა. თუ ის დავას სასამართლოში გადაიყვანს, ამ შემთხვევაში, კონტრაქტის მიხედვით, ფედერაციას მწვრთნელის მუშაობის შეფასებისა და პირობების გადახედვის უფლება გააჩნია.

ამბობს, რომ კონტრაქტის პირობების გადახედვა შესარჩევი ციკლის დასრულების შემდეგ შეგიძლია - ეს სისულელეა. შესარჩევი ციკლი 2017 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მთავრდება და მერე რაღა უნდა გადაიხედოს? პირობები სამუშაო პროცესში უნდა გადაიხედოს, თორემ 2017 წლის 31 დეკემბერს, ცხადაძეს კონტრაქტი ისედაც ეწურება და გადასახედი ალარაფერი იქნება.

კონტრაქტის განწყვეტის შემთხვევაში რა კომპენსაცია ეკუთვნის, ამას მომავალი გვიჩვენებს. ამაზეც ველაპარაკე და შევთავაზე - თუ ჩვენს წინადადებას არ დათანხმდებოდა, კონტრაქტის განწყვეტაზე ორივე მხარე შევთანხმებულიყავით. ამ შემთხვევაში, მისთვის მისაღები იყო, რომ ხელფასი ზაფხულამდე გვეხდა. ამაზე ჩვენც მზად ვიყავით. თუმცა, მან ჩემთან კონტრაქტი განწყვიტა.

306 შეხვედრის ცხადაძეს?

დღეს, დღით 7 საათზე ჩამოვფრინდები. აღმასკომი შეიკრიბება და გადაწყვეტთ - რა და როგორ იქნება. ბუნებრივია, ახალი მწვრთნელის საკითხი რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოგვარდეს.

მე რომ მისი მწვრთნელობის წინააღმდეგი ვყოფილიყავი, ფედერაციაში მოსვლის პირველივე დღიდან უარს ვეტყვოდი. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მეგობრულად გვერდით დგომა არავრთხელ ვთხოვე.

კახა ცხადაძე: „ნაკრებმა შესარჩევი ციკლი მე-5 ადგილზე დაასრულა, რაც დამაკმაყოფილებელი შედეგი არაა. პლუს, ესტონეთთან ამხანაგურ მატჩში დამარცხდა. თუმცა, იყო ნათელი წერტილები და გამონათებები. მასთან თანამშრომლობის გაგრძელება სწორედ ამიტომ გვსურდა“.

რეაქციისთემა

კახას მიერ წამოწყებული ლაპარაკი იმ ხალხის დამსახურება, რომლებმაც 3 ოქტომბრის შედეგი ვერ მოინებლეს. ეს არის მიზანმიმართული საუბრები და ხელის გაშვება. მათ ამის არანაირი უფლება და საფუძველი არ გააჩნიათ. ისინი ქართულ ფეხბურთში ველარ დაბრუნდებიან და ზუსტად ეს იყო ფედერაციაში ცვლილების მიზეზი - აქ აღარ იქნება იმ ხალხის ადგილი, ვინც პირად ინტერესს ფეხბურთზე მალა აყენებს. მათ რომ უნდათ, იმ მიზანს ვერ მიაღწევენ.

ცხადაძე თავისი განცხადებებით დიდ ზიანს აყენებს ფედერაციას, სპორტის სამინისტროს და სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომელთა გარეშე ქართული ფეხბურთის განვითარება წარმოუდგენელია.

სპორტის მინისტრის ცხადაძისეული დახასიათება - სახელმწიფოს შეურაცხყოფა. კერძო სექტორისკენ და ბიზნესმენებისკენ ხელის გაშვება მიუღებელია. ისე, თავის დროზე, ფედერაციასთან კონტრაქტს რომ აფორმებდა, სიჭინავას კომპეტენციამ არ დაინტერესა? ძალიან მეეჭვება, სპორტის მინისტრი სიჭინავაზე ნაკლებ კომპეტენტური იყოს.

მერაბ მამულაშვილი

ნარდის მსოფლიო თასი
საქართველოში!

27 აპრილი - 1 მაისი

საპრიზო ფონდი
\$125.000

ითამაშე ონლაინ საბადიბაზი
მობილზე ბიდეით!

europe-bet.com

19-წლამდელები. ახსნაბურთი მატჩი



ფოტო სფფ-ის ფეისბუქის გვერდიდან

საქართველო ბულგარეთს ვერ აჯობა ბიორგი ყიფიანის დაბრუნებამდე დასრულდა

საქართველო-ბულგარეთი 0:0

23.01.2016. თბილისი. „დინამოს“ აკადემია. საქართველო: ჯორჯიძე, ჩაჩუა (81. ფოჩუა), ჭიჭინაძე (81. მალაიაძე), ლორთქიფანიძე (81. კამლაძე), კობახიძე (60. კობახიძე), ალთუნაშვილი (71. ბაშელაშვილი), კობახიძე (60. მამულაშვილი), ბიძინაშვილი (71. ჯორჯიძე), გვარამია (71. ართემიძე), გომთელაძე (60. ახალაძე), მიქელაძე (81. ლილუაშვილი) მთ. მწვერვალი: გიორგი ყიფიანი ბულგარეთი: მიხაილოვი, მიტაჩოვი (69. მარკოვი), მინკოვი, ლიასკოვი (59. სრისტოვი), ივანოვი (80. ვიდევი), პეტროვი, ალიჩოვი (80. მარკოვი), მაქსიმოვი, იორდანოვი, კრავევი, ცვიატკოვი (46. ოსტროვი) მთ. მწვერვალი: სვეტოსლავ ტოდოროვი

19-წლამდელები ნაკრების მთავარ მწვრთნელად გიორგი ყიფიანი იანვრის დასაწყისში, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე დაინიშნა. ახალი მთავარი მწვრთნელის ხელმძღვანელობით, 19-წლამდელებმა გუშინ პირველად ითამაშეს - გიორგი ყიფიანის გუნდი ბულგარეთს დაუპირისპირდა.

თამაში 15 საათზე მიხილ მესხის სახელობის სტადიონზე დაიგეგმა. მაგრამ თოვლის გამო, მოედნის საფარის განმენდა შეუძლებელი აღმოჩნდა და თამაში „დინამოს“ აკადემიის ხელოვნურსაფართან მოედანზე გადაიტანეს.

პირველ ტაიმში ყიფიანის შეგირ-

დები შეტევების სწრაფად ორგანიზებას ცდილობდნენ, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მეტ-ნაკლებად მწვევე მომენტი შექმნეს. გურამ გომთელაძის შეტევას მეკარე მიხაილოვი გადაელობა და ვითარება განმუხტა. ტაიმის ბოლოს თამაში გიორგი კობახიძემ გააძლიერა, ბულგარეთსა საჯარიმოში ორ მცველს გასცდა და კარში გაიხრია - მეკარე კვლავ საიმედოდ ითამაშა, დამატებაზე კი ბექა მიქელაძის დარტყმული ბურთი კარიდან მცველმა გამოიტანა.

ტაიმის მიწურულს სტუმრებმა ჯარიმა კარგად გაითამაშეს და გაიტანეს კიდეც, მაგრამ მთავარმა არბიტრმა თამაშგაგრძელება დააფიქსირა.

მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრებმა გაცილებით აქტიურად და სწრაფად შეუტია. კარის აღებას ცდილობდნენ გიორგი ახალაძე, ირაკლი ბიძინაშვილი, სანდრო ალთუნაშვილი, შერმაძინ ართემიძე, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ცხადია, თამაშის მსვლელობას დადი მიძიე კლიმატურმა პირობებმა დაასვა. გუნდები მეორე ამხანაგურ შეხვედრას 26 იანვარს გამართავენ. თავიდან მისი ჩატარება გორში დაგეგმვა, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში დიდთოვლობის გამო, მასპინძელი სტადიონი დღეს, 25 იანვარს დახურულდება.

მერაბ მამულაშვილი

საზარალო ტრანსფერი

რას იტყვიან არნაში? ხარაიშვილი და ვითხი ძალიან რეალურია

19 წლის გიორგი ხარაიშვილის ტრანსფერი არნემის „ვიტესში“ ძალიან რეალურია. არის შანსი, რომ უახლოეს დღეებში „საბურთალოს“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარცენტრი არნემულ კლუბში გადავიდეს, სადაც გურამ კამისა და გიორგი ყიფიანის შეუთანხმდა.

„ხარაიშვილის თაობაზე ვესაუბრე

„საბურთალოს“ ხელმძღვანელობას. მათ გამაცნეს თავიანთი პირობები, რომელიც „ვიტესს“ გადაუვუგზავნეს, უახლოეს ორ დღეში უნდა იყოს პასუხი“, - გვითხრა გუშინ „ვიტესის“ წარმომადგენელმა საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გოგა გახრიძემ.

ალეკო კაკაპურიძე

17-წლამდელები

საქართველო განვითარების თაზზე მხარე მხარე

მინსკში მიმდინარე „განვითარების თაზზე“ ვასილ მისურაძის განვითარების საქართველოს 17-წლამდელებს ნაკრებმა მორიგი ორი მატჩი ჩაატარა. თავდაპირველად, ჩვენი გუნდი ირანელ თანატოლებს დაუპირისპირდა.

საქართველოს ნაკრებმა 1:0 მოიგო. ერთდღერთი გოლი 36-ე წუთზე გავიდა და მისი ავტორი ლუკა სილაგაძე გახდა. აღსანიშნავია, რომ ირანელები 47-ე წუთიდან კაცნაკლულნი თამაშობდნენ.

საქართველო-ირანი 1:0

საქართველო U17: კერესელიძე, ასათიანი (41. კარელიძე), კოკალიძე, შიკაშვილი, ნიკოლეიშვილი, ჩაკვეტაძე, ანდრონიკაშვილი (75. ლლონტი), ობოლაძე (39. კუცია), სილაგაძე

(55. ერგემიძე), ტაბაძე (55. ხარაიშვილი), ქავთარაძე (41. სანადვრაშვილი)

გუშინ მეშვიდე ადგილისათვის მატჩში საქართველოს 17-წლამდელებს ნაკრები ლიტვას დაუპირისპირდა. შეხვედრა დაძაბულად წარიმართა. მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას საქართველოს ნაკრები ფლობდა. საბოლოოდ, მისურაძის შეგირდებმა 2:1 მოიგეს და მინსკის ტურნირზე მეშვიდე ადგილი დაიკავეს. ჩვენებურთაგან გოლები გაიტანეს ლუკა სილაგაძემ და დავით კასრელიძემ. ლიტველთაგან თავი დომანტას ვიტკუნსმა გამოიჩინა.

ალეკო კაკაპურიძე

„ლელომ“ უკვე გაცნობათ იმის თაობაზე, რომ საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში - „ცხინვალში“ ფინანსურად ცუდი სიტუაციაა. ამ ინფორმაციას მკითხველის არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ბევრმა ვერ გაიგო, რა ხდება.

საქმე ისაა, რომ ცოტა ხნის წინათ, რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა დაასახელეს ის სატრანსფერო თანხა, რომელიც რუსული პრემიერლიგის ბინდარმა „როსტოვმა“ გადაინახდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთ ლიდერში, ეროვნული ნაკრების კანდიდატ ნიკა კაჭარავაში.

სიტუაციაში გარკვევა ვთხოვთ ცხინვალელთა მთავარ მწვრთნელს, კახა კაჭარავას.

- რა მდგომარეობაა ამჟამად „ცხინვალში“?

- აბა მითხარით, დღეს რომელ გუნდს ულხინს? ჩვენც მიძიმე მდგომარეობაში ვართ. ველოდებით დახმარებას. არის დაპირება და იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენ ვაგრძელებთ მზადებას სეზონის მეორე ნახევრისთვის და გვეჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

- ფაქტია, „ცხინვალში“ არ არის რიგითი გუნდი...

- არ მინდა, პოლიტიკურ ასპექტში გადავიდეს ჩვენი მსჯელობა. უბრალოდ, ვიტყვი ერთს - „ცხინვალის“ არსებობის მნიშვნელობას, ალბათ, ყველა ქართველი ხვდება. ევროპასა და ჩვენს ქვეყანაში, „ცხინვალის“ გასწვრივ საქართველო ეწერა. დამეთანხმებით, ეს განსაკუთრებული მომენტია.

- სანტრეფესო, „ცხინვალში“ რა თანხა მიიღო ნიკა კაჭარავას ტრანსფერის სანაცვლოდ?

- პირდაპირ გეტყვით, რომ ამ ტრანსფერისგან ჩვენ ერთი თეთრიც არ მიგვიღია. ჩვენ სახელმწიფო კლუბი ვართ. არ გვაქვს იმის ფუნქცია, რომ ფეხბურთელს 3-5 წლიანი კონტრაქტი გავუფორმოთ. ამის საშუალება რომ იყოს, ეს არც მურთაშვილისაა და არც მე. უბრალოდ, იქიდან გამოვიდვართ, რისი საშუალებაც არის.

ნიკამ „ცხინვალში“ დატოვა თავისუფალი აგენტის სტატუსით. ჩვენ მას არ შევუშალთ ხელი, უფრო მაღალ დონეზე გაეგრძელებინა კარიერა. საერთოდ, არც ერთი ფეხბურთელისათვის არასდროს შეგვიშლია ხელი და ასე მოხდა ნიკას შემთხვევაშიც.

- არადა, რუსულ მედიამ გავრცელდა ცნობა, რომ „როსტოვმა“ „ცხინვალს“ 300 ათას ევრომდე გადაუხადა...

- აქ ასეთი რამ მოხდა - ნახეს ფეხბურთელის ღირებულება „ტრანსფერ-მარკეტზე“ და ამის მიხედვით დაწერეს. ლმერთმა ქნას, ამ თანხას მალე კიდევ ბევრი ნოლი დაემატოს, მაგრამ დღეს ასეთი რეალობაა - რუსეთის ჩემპიონატის მეორეადგილოსანი გუნდი საქართველოს ჩემპიონატიდან წასულ ფეხბურთელში ამხელა თანხას არ გადაიხდის. ეს სამწუხარო რეალობაა. ადგება და სხვას ნაიყვანს.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დღეს ასეთი ვითარებაა. დიდი იმედი მაქვს, ის უახლოეს მომავალში შეიცვლება.

- როგორ შეეგუა ნიკა „როსტოვს“?

- მან უკვე ორი თამაში ჩაატარა გუნდში, ორივე ამხანაგური შეხვედრა. კლუბის საიტზე გამოქვეყნებული მიმოხილვების მიხედვით, მეორე მატჩში უკეთესი იყო. ყურბან ბურდიევი მას კარგად იცნობდა. ეცხინვალში, სწორედ ის წვრთნიდა ნიკას „რუბინში“. ნიკა 18 წლის იყო, როცა რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ შეხვედრაში განაცხადში შეიყვანა.

მეორე ნიკამ დატოვა „რუბინი“ და მოვიდა „ცხინვალში“. პირველი ექვსი თვე უხელფასოდ ითამაშა. ამის შემდეგ, როცა გუნდმა უმაღლეს ლიგაში შეინარჩუნა ადგილი, ნიკასთან კონტრაქტი გავაფორმეთ. ვფიქრობ, ნიკა კაჭარავამ, ისევე, როგორც გუნდის ყველა წევრმა, დიდი წვლილი შეიტანა „ცხინვალის“ წარმატებაში.

ნიკამ წლიანხვერიანი კონტრაქტი გააფორმა „როსტოვთან“. დღეს კლუბთან მისი ადაპტაცია მიმდინარეობს. თავადაც იცით, ეს ერთ ან ორ

კახა კაჭარავა: ნიკა კაჭარავაში თეთრის არ მიხვილია

ჩემი აზრით, კახა ცხადადის ბათვისუფლება არის შესდომა

დღეში არ ხდება... იმედია, წარმოაჩენს თავის შესაძლებლობებს.

- ისევ „ცხინვალს“ დაფუძრულდით. როდის დაიწყო გუნდმა მზადება სეზონის განახლებისათვის?

- სამზადისი დაიწყო 25 დეკემბერს. ჩავატარეთ სამი ამხანაგური შეხვედრა. მათ შორის, ბოლო სამი დღე ვითამაშეთ გორის „დელასთან“ და მინიმალური ანგარიშით - 0:1 დავმარცხდით. „მცხეთასთანაც“ უნდა გვეთამაშა, მაგრამ თოვლი, ალბათ, ამ მატჩს გადადებს. რის საშუალებაც გვაქვს, მაქსიმალურად ვეზრუნებით, ვცდილობთ.

- უცხოურ შეკრებებზე ვერ მიდიხართ?

- არა, გამოირიცხულია. ჩვენი დაფინანსების საკითხი არ არის გადაწყვეტილი. არ ვიცით, რა თანხა გვექნება.



კახა კაჭარავა

- გუნდიდან რომელი ფეხბურთელები წავიდნენ?

- თავიანთი სურვილით დატოვეს გუნდი მეკარე იმარ მიგინიძე, აკაკი შულაია, რატი ცაცკრილაშვილი და დავით ბოლქვაძე. მინდა მადლობა გადავუხადო მთელი „ცხინვალის“ სახელით იმისათვის, რაც გუნდისათვის გააკეთეს.

- ახალწვეულები თუ არიან?

- ჯერ არა. რა ვუთხრა ფეხბურთელს, რა შევთავაზო, როცა თავადაც არ ვიცი, როგორი დაფინანსება გვექნება სეზონის განახლების შემდეგ. გაურკვეველ მდგომარეობაში ვართ. ძალიან რთულია, როცა ფეხბურთელი 2-3 თვის განმავლობაში ვერ იღებს ხელფასს.

ჩვენი ძალიან ახალგაზრდული გუნდი გვყავს და კოლოსალურ თანხას არ ვითხოვთ. უბრალოდ, ელემენტარული პირობა ხომ მაინც უნდა იყოს იმისთვის, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელმა მოუმატოს?

- ფაქტია, დღეს ქობაგების დიდი ნაწილი უნდადღეს უცქერის ქართულ საკლუბო ფეხბურთს. არის აზრი, რომ აქ ფული არ უნდა დაიხარჯოს...

- რა თქმა უნდა, ნებისმიერი მოსაზრება ანგარიშგასაწიფი და საყურადღებოა. მეც მაქვს ამასთან დაკავშირებით ჩემი აზრი. ფეხბურთელი რომ გამუდმებით ხელფასს ელოდება, პროგრესი ვერ ექნება.

მეორე მხარეს დგას ამბიციები. გვინდა, გერმანიას და ესპანეთს მოვუგოთ. ისმის კითხვა - როგორ, რის ხარჯზე? მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეს მასწავლებელს, ინჟინერს, სპორტსმენს...

მასწავლებლის ხელფასი მაღალი უნდა იყოს. ის საყოველთაო დაფასე-

ბას უნდა გრძობდეს. ბავშვი რომ მივა სკოლაში და მასწავლებელს დახეულ ფეხსაცმელს დაუხაზავს, თვითონაც ალარ მოუნდება მასწავლებლობა.

ასევეა ფეხბურთი. რომ ხელდასდეს ბავშვი, რა დღეშია საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელი, ალარ უნდა ეს საქმე. ფეხბურთელის ხელფასი უნდა იყოს მაღალი. მაქსიმუმ, 10 წლის განმავლობაში თამაშობს ფეხბურთს. ან, ტრავმა რომ მიიღოს, პატრონი ვინ ჰყავს?

აი, ჩვენ ვამბობთ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების გუნდები გადიან ევროპასა და ჩემპიონთა ლიგისა თუ ევროპის ლიგის ჯგუფებში. დაიხს, იქ, შესაძლოა, არ არის ევროპული მასშტაბით დიდი ხელფასები, მაგრამ შევადაროთ ის ქართულ კლუბებში არსებულ ხელფასებს.

მესმის, ხალხი დაილაპა ამდენი ლოდინით, მაგრამ თუ ასე ვფიქრობთ, თუ მიგვაჩნია, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა უნდა ითამაშონ ფეხბურთი და ეს გააკეთონ უხელფასოდ, მაშინ საერთოდ დავანებოთ თავი ფეხბურთის თამაშს. უფრო და უფრო დიდი თანხები იღება ფეხბურთში, ჩვენ კი ვამბობთ, რომ ის მინიმუმაც არ უნდა იყოს, რაც არის.

ასე ვერავის დავენვეით. ეს სამწუხაროა, მაგრამ აქსიომაა. რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს, სიმართლე სიმართლეა.

- ფაქტია, ნიკა კაჭარავას წასვლის შემდეგ, გუნდში მწვევად დადგა გამბტის ცენტრფორვარდის პრობლემა. როგორ აპირებთ ამ ვაკუუმის შევსებას?

- რეალურად უნდა შევხედოთ ამ საკითხს. მე მირჩევნია, ნიჭიერი ბავშვი ვიპოვო და მას მივცე შანსი, ის დავანიწარმოო ძირითად შემადგენლობაში. საერთოდ, აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გვაქვს გაკეთებული.

„ცხინვალის“ ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატები არიან ცერცვაძე, ქოჩლაძე, ქარდავა და შულაია, ვინც ახლახან გადავიდა „სინონში“. 19-წლამდელებში თამაშობს მალრაძე, 17-წლამდელებში კი მეკარე კერესელიძე.

ჩვენი მიზანი ახალგაზრდა ფეხბურთელების დანერგვაა. ჩვენ ვერ მოვატყუებთ ხალხს, რომ ამ ახალგაზრდული გუნდით, ათასწლიანი ანაზღაურებით ჩემპიონთა ლიგას მოვიგებთ. ეს ხალხისათვის თვალში ნაცრის მყერი იქნება.

ისიც ვთქვით, სად არის ახლა გამბტის ფორვარდი? მარცვალაძეს, მოდებაძეს ან ქვიციანიას როგორ ვუთხრა, „ცხინვალში“ წამოდით-მეთქი. სხვათაშორის, „ბოტოშინთან“ რამდენიმე გამოცდელი ფეხბურთელი რომ გვყოლოდა, იმ ეტაპს გავივლიდით.

- რას იტყვით საქართველოს ნაკრებში ბოლო დროს განვითარებულ პროცესებზე?

- მე ვერ ვიმსჯელებ ფინანსურ საკითხებზე. ეს არ არის ჩემი საქმე. რაც შეეხება სუფთა სამწვრთნელო მხარეს, ჩემი აზრით, კახა ცხადადის გათავისუფლება არის შეცდომა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე აქ ვმსჯელობ როგორც მწვრთნელი - მწვრთნელზე.

ალეკო კაკაპურიძე

საკონტროლო მატჩები

მერანა რეაქივლა ბანაღგურა

უმალესი ლიგის აუტსაიდერმა, მარტვილის „მერანმა“ მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ბადრი კვარაცხელიას განვრთნილმა გუნდმა მარტვილში, „მურთაზ ხურცილავაზე“ მიიღო პირველი გოლი ხარაგაულის „ჩხერიმელა“ და მონინალმდგის კარში 6 უპასუხო გოლი გაიტანა.

„მერანის“ გამარჯვებას სათავე ნოდარ კინაველიძემ დაუდო. მან ვასიკო კენჩხაძის ნაქცევისათვის დანიშნული ჯარიმიდან გაიტანა. პირველი ტაიმის ბოლომდე „მერანმა“ კიდევ ერთი გოლი შეაგდო. თავი გამოიჩინა გუნდის ახალწვეულმა ივანე ხატულაშვილმა.



დინამო (ბთ)-კოლხეთი

მეორე ტაიმში „მერანის“ სამწვრთნელო შტაბმა არაერთ ფეხბურთელს მისცა შანსი. მათ შორის, კლუბში სინჯებზე მყოფ მოთამაშეებს. მეორე ნახევარი „მერანმა“ ალმავლობით ჩაატარა.

ბესიკ ჩიმაკაძემ ხარაგაულელთა საჯარიმოში შეაღწია და უძლიერესი დარტყმით გაიტანა. დარჩენილ დროში დუბლი მიითვალა მიხეილ რუსაიამ, ერთი ბურთი კი დათა ციციგავამ შეაგდო. „მერანის“ რიგებში ახალწვეულია გუნდის ლირსეებს დაიცავს 27 წლის საყრდენი ნახევარმცველი, აკაკი წყაროზია, ვინც სეზონის პირველ ნახევარში განათხოვრებით თამაშობდა „ზუგდიდში“.

მომდევნო ამხანაგურ მატჩს „მერანმა“ 25 იანვარს ითამაშებს, ვანის „სულორთან“.

ქალთა ფეხბურთი

გოგონებს ბაჯალია განვრთნის, კვარაცხელია დახმარება

23 იანვარს, ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ ქალთა ეროვნულ ნაკრების ახალი მწვრთნელები წარადგინეს.

გუნდის დამრიგებელი და მისი გუნდი საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნინო სორდიამ წარადგინა: ნაკრები ჩაიბარა ლევან ბაჯელიძემ, ხოლო მის თანაშემწედ გივი კვარაცხელია იმუშავებს. ეს უკანასკნელი, პარალელურად, 19-წლამდე გოგონათა ნაკრებსაც განვრთნის.

ბაჯელიძე 36 წლისა და საფეხბურთო კარიერა თბილისის „დინამო 2“-ში (1996-1998) დაიწყო. შემდეგ გამოდიოდა თბილისის „მერანში“ (1998/2002), წნორის „მილანსა“ (2003) და ყაზახურ კლუბ „ატირაუში“ (2003-2004). 2005 წელს, საქართველოში დაბრუნდა და „ხესტაფონში“ (2004/2005) ჩაირიცხა, ხოლო 2005-2010 წლებში „სიონში“ იყო და კარიერაც ბოლნისურ კლუბში დაასრულა.

მერანი-ჩხერიმელა 6:0

„მერანი“ (სასტარტო): მამალაძე, მელიავა, გიორგაძე, ორბელიანი, კინაველიძე, ტყედი, კენჩხაძე, ვლამია, ვიქია, ხატულაშვილი, ჩიმაკაძე. შეცვლაზე შევიდნენ: სევოსტიანენკო, ციკოლია, ი. ციციგავა, გეგია, ცარიელაშვილი, გაზდელიანი, შენგელია, დ. ციციგავა, რუსაია, ფაილოძე.

„ჩხერიმელა“ (სასტარტო): მაქცარია, ჩაღუნელი, ჩხარტიშვილი, გაბუნია, ვეკუა, ბარბაქაძე, აშვეთია, სულაძე, გიორგაძე, სანიკიძე, მუმლაძე.

მთავარი მწვრთნელი: პაატა ლურსმანაშვილი არბიტრი: აბო მონიავა

დილაგ ხინვალი მინიალუკად დაამარცხა

ეროვნული ნაკრების სანვრთნელ ცენტრ „ბასაზე“ „ცხინვალმა“ და გორის „დილაგ“ ისპარინგეს. შეხვედ-

რა საინტერესოდ წარიმართა და „დილაგ“ მინიმალური გამარჯვებით დასრულდა. ერთადერთი გოლი გორელთა შემადგენლობაში 26-ე წუთზე გიორგი ერისთავმა გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში „დილაგ“ მეორე ადგილი უჭირავს, „ცხინვალი“ კი მესამე პოზიციაზეა.

მეორე ტაიმში განსაკუთრებით დიმიტრი თუთბერიძე აქტიურობდა. მისი კარგი თამაშის შედეგად, მასპინძლებმა 67-ე წუთზე გაიტანეს კიდევც, მაგრამ არბიტრმა შეტევამი ჯარიმა დააფიქსირა და გოლი არ ჩაითვალა. სტუმრებმა კი შეხვედრის მიწურულს შეძლეს ანგარიში გახსნა და თამაშის მოგება - თავი ალექსანდრე ბაკიკაძემ გამოიჩინა.

მეორე ტაიმში განსაკუთრებით დიმიტრი თუთბერიძე აქტიურობდა. მისი კარგი თამაშის შედეგად, მასპინძლებმა 67-ე წუთზე გაიტანეს კიდევც, მაგრამ არბიტრმა შეტევამი ჯარიმა დააფიქსირა და გოლი არ ჩაითვალა. სტუმრებმა კი შეხვედრის მიწურულს შეძლეს ანგარიში გახსნა და თამაშის მოგება - თავი ალექსანდრე ბაკიკაძემ გამოიჩინა.

მეორე ტაიმში განსაკუთრებით დიმიტრი თუთბერიძე აქტიურობდა. მისი კარგი თამაშის შედეგად, მასპინძლებმა 67-ე წუთზე გაიტანეს კიდევც, მაგრამ არბიტრმა შეტევამი ჯარიმა დააფიქსირა და გოლი არ ჩაითვალა. სტუმრებმა კი შეხვედრის მიწურულს შეძლეს ანგარიში გახსნა და თამაშის მოგება - თავი ალექსანდრე ბაკიკაძემ გამოიჩინა.

მეორე ტაიმში განსაკუთრებით დიმიტრი თუთბერიძე აქტიურობდა. მისი კარგი თამაშის შედეგად, მასპინძლებმა 67-ე წუთზე გაიტანეს კიდევც, მაგრამ არბიტრმა შეტევამი ჯარიმა დააფიქსირა და გოლი არ ჩაითვალა. სტუმრებმა კი შეხვედრის მიწურულს შეძლეს ანგარიში გახსნა და თამაშის მოგება - თავი ალექსანდრე ბაკიკაძემ გამოიჩინა.

ბათუმელთა კოლხებს მოუგეს

ბათუმის „დინამომ“ საკონტროლო შეხვედრა გამართა. ქობულეთის „ჩელე არენაზე“ შოთა ჭყიშვილის განვრთნილები ფოთის „კოლხეთს“ შეხვედნენ.

შემდეგ „სიონის“ დირექტორი და მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი იყო.

ბაჯელიძის ასისტენტად კი მისი თანატოლი გია კვარაცხელია იმუშავებს. ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველის კარიერა 19 წელი გმოდებოდა და სულ 14 გუნდის ფორმა მოირგო. იყო საქართველო 19-წლამდელობის, ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებების წევრი.

ახალმა სამწვრთნელო შტაბმა პირველი ვარჯიში დღეს გამართა. ეროვნულმა გუნდმა არასრული შემადგენლობით ივარჯიშა. მათი დებიუტი ერთ თვეში დაგეგმილ ამხანაგურ მატჩში შედგება: 22 თებერვალს, ჩვენი გოგონები დუბაიში გაემგზავრებიან და 25 და 27 თებერვალს არაბეთის გაერთიანებულ სამიროებთან ამხანაგურ მატჩებს გამართავენ. 12 აპრილს კი პირველი ოფიციალური მატჩი ელით: ევროპის 2017 წლის საკვალიფიკაციო ეტაპის მე-5 შეხვედ-

რა საინტერესოდ წარიმართა და „დილაგ“ მინიმალური გამარჯვებით დასრულდა. ერთადერთი გოლი გორელთა შემადგენლობაში 26-ე წუთზე გიორგი ერისთავმა გაიტანა.

ერთადერთი გოლი მეორე ტაიმში გავიდა და ის ბათუმელთა თავდასხმელმა გიორგი ბერიაშვილმა გიორგი ქავთარაძის გადაცემით გაიტანა.

დინამო (ბ)-კოლხეთი 1:0

გოლი: ბერიაშვილი (66) დინამო: ტაკიძე, ქათამაძე, აფხაზავა, გოგიტიძე, ქორიძე, შონია, ფონიავა, დიასამიძე, კაშია, აბუსელიძე, სირაბიძე.

შეცვლაზე შევიდნენ: ალაფიძე, ჯორბენაშვილი, ტეტუნაშვილი, მგელაძე, სუხიაშვილი, თევდორაძე, ვარშანიძე, ჭკუასელი, ქავთარაძე, გაბდოლიანი, ბერიაშვილი.

კოლხეთი: ძაგანია, კილასონია, გოგონაია, ჩაკეტიძე, თ. კაკულია, ლ. კაკულია, სიჭინავა, გურემიძე, გიგაური, თუხარელი, ნიჭაბაძე.

მერაბ მამულაშვილი

ზუგდიდის პირველი სპარინგი

მოსამზადებელ ეტაპზე, „ზუგდიდმა“ პირველი საკონტროლო მატჩი „ბაიას“ ბაზაზე გამართა. იური ბაკალოვის გუნდის მეტოქე პირველი გელი ხელვაჩაურის „მაჭახელა“ იყო.

„ზუგდიდის“ პრესამასხურის ცნობით, უკრაინელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა პირველმა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია და თამაშს მრავალი ქომაგი დაესწრო.

პირველ ტაიმში მასპინძლები დიდ უპირატესობას ფლობდნენ და საგოლე მომენტებიც შექმნეს, მაგრამ ცოტნე სამუშაომ და გიორგი ბულიამ ორ-ორი მომენტი ვერ გამოიყენეს.

მეორე ტაიმში განსაკუთრებით დიმიტრი თუთბერიძე აქტიურობდა. მისი კარგი თამაშის შედეგად, მასპინძლებმა 67-ე წუთზე გაიტანეს კიდევც, მაგრამ არბიტრმა შეტევამი ჯარიმა დააფიქსირა და გოლი არ ჩაითვალა. სტუმრებმა კი შეხვედრის მიწურულს შეძლეს ანგარიში გახსნა და თამაშის მოგება - თავი ალექსანდრე ბაკიკაძემ გამოიჩინა.

მეორე ტაიმში განსაკუთრებით დიმიტრი თუთბერიძე აქტიურობდა. მისი კარგი თამაშის შედეგად, მასპინძლებმა 67-ე წუთზე გაიტანეს კიდევც, მაგრამ არბიტრმა შეტევამი ჯარიმა დააფიქსირა და გოლი არ ჩაითვალა. სტუმრებმა კი შეხვედრის მიწურულს შეძლეს ანგარიში გახსნა და თამაშის მოგება - თავი ალექსანდრე ბაკიკაძემ გამოიჩინა.

ზუგდიდი-მაჭახელა 0:1

გოლი: 0:1 ბაკიკაძე (67) ზუგდიდი: ზარქუა, ვიზურკა, რაფაელი, ჩიბიტარიძე, ჩანადირი, თბილაშვილი, ქორია, ც. სამუშია, გ. სამუშია, სხარულია, ბულია

შეცვლაზე შევიდნენ: ჯომიდავა, ქანთარია, შონია, იზორია, ფიფია, ს.მალანია, არქანია, ნარმანია, თუთბერიძე, ჩანგელია, ჭანტურია.

მერაბ მამულაშვილი



ლევან ბაჯელიძე

რას ჩვენი ფეხბურთელები ჩეხეთში, ამ ქვეყნის ნაკრებთან ჩაატარებენ. საქართველოსა და ჩეხეთის გარდა, ჯგუფში შევიცარია, იტალია და ჩრდილოეთ ირლანდია თამაშობენ. ოთხი ტურის შემდეგ, ჩვენები 4 ნაგებით ბოლო ადგილზე იმყოფებიან.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონის უმეცბეი



ვაკო „აიაქსის“ წინააღმდეგ

ვაკო ყაზანიშვილი „აიაქსის“ წინააღმდეგ; ჯაბა კანკავას საგოლე პასი ფრანგულ ლიგა 1-ში; იმედაცურუბა გერმანიაში - ეს ქართული ლეგიონის მთავარი თემებია ამ უქმეებზე.

საფრანგეთი. ლიგა 1. ჯაბა კანკავას „რეიმსი“ უკვე გასაგარდნ ზონაში იყო დაშვებული, როცა „სენტ ეტიენს“ დაუხვდა და ამ ზონაში დარჩებოდა, რომ არა ჯაბა კანკავას საგოლე პასი 89-ე წუთზე. ქართველის პასით მანდიმ გაათანაბრა - 1:1. ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა და არც ამჯერად მიუღია ყვითელი ბარათი. ეს კანკავას პირველი საგოლე პასია ლიგა 1-ში.

პოლანდია. ერედვიზიე. არაფერი იცვლება გურამ კამისასთან დაკავშირებით, კაპიტანმა ისევ სათადარიგოთა სკამზე გაატარა მთელი დრო. ამჯერად, ის ბოლო წუთზეც არ შეუყვანიათ სიმბოლურად. „ვიტესი“ კი „აიაქსთან“ 0:1 დამარცხდა. ვაკო ყაზანიშვილმა, რომელსაც უყვარს ხოლმე „აიაქსის“ გამწარება, ამჯერად, თავი ვერაფრით გამოიჩინა. მან 90 წუთი გაატარა მოედანზე. ვაკო აქტიურობდა, პირველ ტაიმში გაიტანდა კიდევც, მცველ მაიკ ვან დერ შოორნს რომ არ ეყოჩაღა.

ესპანეთი. სეგუნდა. გიორგი აბურჯანიას დებიუტი გადაიდო - „ჟიმნასტიკი“ „ალბასეტეს“ ესტუმრა და 1:1 დაუხვდა, ჩვენებური სათადარიგო იყო.

იტალია. სერია A. ლევან მჭედლიძე კვლავ სათადარიგო იყო, „ემპოლი“ კი შინ 2:2 დაუხვდა „მილანს“. ლევა პრო. „ტუტოკუოიომ“ შინ 0:2 ნააგო „პონტევერასთან“, ნაგებულთა შორის 90 წუთი ითამაშა ირაკლი შევილაძემ.

ინგლისი. ჩემპიონშიპი. „ბრენტფორდის“ მთავარ გუნდს დაუბრუნდა აკაკი გოგია, რომელმაც სარეზერვო გუნდში სამი გოლის გატანა შეძლო, თუმცა ქართველი მხოლოდ სათადარიგო იყო „ბრენტფორდის“ საგარეო გამარჯვებაში „პრესტონთან“ - 3:1.


გერმანია. III ლიგა. სამწუხაროდ, არ გამართლდა ჩვენი იმედები, „ვერდერის“ პირველ გუნდთან ერთად შეკრებაზე წასული გიორგი პაპუნაშვილი ისევ დუბლებში დააბრუნეს. მან 79-ე წუთამდე ითამაშა „შოლტეინთან“ 2:1 მოგებულ თამაშში.

პორტუგალია. სეგუნდა. რომ არა გიორგი მაკარაძის „სევიე“ 86-ე წუთზე „ფეირენსე“ „მაფრასთან“ საგარეო მატჩში დამარცხდებოდა - 1:1. ავთო ებრაღიძის (63-ე წუთზე შეცვალეს) „ჟოლ ვისენტე“ კი მოულოდნელად 0:3 განადგურდა „კოვილიასთან“.

თურქეთი. სუპერლიგა. თორნიკე ოქრიაშვილის „ესქიშეჰირმა“ სტუმრად „სივასი“ 2:1 დამარცხა, ქართველი სათადარიგო იყო. ნიკა ძალაშიძე „რიზეს“ ვანაცხადში არ იყო, მისი გუნდი სტუმრად „ფენერბაჰჩესთან“ დამარცხდა.

საბერძნეთი. სუპერლიგა. „ლევანდიაკოსი“ „პანათინაიკოსთან“ 0:2 დამარცხდა. გიორგი მერეაშვილი სასტარტოში იყო, ის 75-ე წუთზე შეცვალეს.

კვიპროსი. „ანორთოსისმა“ შინ 3:2 დამარცხა „აპოლონი“, ირაკლი მაისურაძე მასპინძლებს მე-40 წუთიდან შეეშველა. „ანასისი“ შინ დაუხვდა „პაფოსს“ - 1:1. მძები გრიგალაშვილები ერთად ჯერ ვერ ვიხილეთ, ექსპაფოსელმა ელგუჯა გრიგალაშვილმა 71-ე წუთამდე ითამაშა, ხოლო შოთა განაცხადში ვერ მოხვდა. სათადარიგო იყო რევაზ ბარაბაძე. „პაფოსში“ შემორჩენილმა ერთადერთმა ქართველმა ლევან ხმალაძემ შეუცვლელად ითამაშა. თემურ ქეცბაიას აპოლონ-მა სტუმრად 1:0 დამარცხა აელი-. ქართველი მწვრთნელის გუნდი 44 ქულით მესამე ადგილზეა.



ჯაბა მანდის გაატანა

ამხანაგური თამაშები

გიორგი გორიზიას „სტაბეკმა“ „ფოლოს“ 3:0 მოუგო, ქართველმა ფეხბურთელმა პირველი ტაიმი ითამაშა.

ლევან ყენიას არ უთამაშია „სლავიასა“ და „ვიშეჰრადის“ მატჩში, რომელიც პრალელებმა 5:1 მოიგეს.

მათე ვანაძის „ორპუსი“ „ვიბორგთან“ 0:2 დამარცხდა. ქართველმა ფორვარდმა 1 ტაიმი ითამაშა.

„დნიპროს“ რიგებში „ციურისთან“ თამაშის პირველ ტაიმში ტრავმა მიიღო სანდრო კობახიძემ და მას თამაში აღარ გაუგრძელებია, მხარი დაიზიანა.

„კრილია სოვეტოვი“ გაერთიანებულ სამიროებში ჩინურ „ჰენანს“ დაუხვდა - 0:0, გიორგი ლორიამ მეორე ტაიმი ითამაშა.

დავით თარგამაძის „ოლექსანდრია“ თურქულ შეკრებაზე 0:0 დაუხვდა ბულგარულ „მონტანას“, ჩვენებურმა მეორე ტაიმი ითამაშა.

ტამკენტის „ლოკომოტივის“ რიგებში პირველი ტაიმი ითამაშა კახა მახარაძემ, უზბეკურმა გუნდმა კი სლოვაკეთის ახალგაზრდული ნაკრები 2:0 დამარცხა.

„კარლსრუესთან“ თამაშში „ფრაიბურგი“ დამარცხდა 0:1 და თან ქართველი ლუკას ჟუფნაგელი დაკარგა ტრავმის გამო. არადა, ის შეცვლაზე შევიდა, მაგრამ თავად გახდა შესაცვლელი.

ნიკოლოზ ნიჭარიძე



ლიონელ მესი „ბარსელონას“ უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა

ცუდი ბარსა, უარესი ატლანტიკო და რეალი ზიდანმა პირველი ქულები დაკარგა

- * „რაიო ვალეკანო“ 9-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა.
- * „ვალენსიას“ თავკაცმა გარი ნევილმა გუნდის კაპიტნობა დანი პარეხოს ჩამოართვა და პაკო ალკასერს გადასცა.
- * „ვალენსიას“ 10 ტურია, არ მოუგია
- * „ბეტისმა“ 27 ნოემბრის მერე, პირველად გაიტანა.
- * ზინედინ ზიდანმა „რეალის“ თავკაცის რანგში პირველი ქულები დაკარგა.

„ბარსელონას“ ასე ცუდად არაა ხანა, არ უთამაშია. ამის მიუხედავად, სწორედ 21-ე ტურში იქცა კატალონიური გრანდი პოტენციური ლიგის დომინანტი ნამდვილი ლიდერად. მას ლეო მესის ერთი გენიალური შეხებაც ეყო გამარჯვებისთვის „მალაგასთან“ დაპირისპირებაში. მაშინ, როცა ორივე მადრიდელმა კლუბმა ნაიფორსილა - დიეგო სიმეონეს კრებულმა „სევილიური“ ბასტიონი ვერაფრით დაანგრია, აი, ზინედინ ზიდანის „რეალი“ კი სევილიაში „ბეტისთან“ მარცხს ბენზემას გოლის წყალობით დაუძვრა. ახლა, „ბარსას“ და „ატლეტიკოს“ თანაბარი ქულები აქვთ, ლუის ენრიკეს ბიჭებს კი თამაში რეზერვში აქვთ.

19 წლის ფორვარდის ჰით ტრიკიტი

19 წლის პარაგვაელი ანტონიო სანაბრია სიხონის „სპორტინგის“ გმირი გახდა, მან 3 გოლი გაუტანა „რეალ სოსიდადს“, ასტურელებმა კი ბასკებს 5:1 მოუგეს. ასე აჯობა ექსტრასელიონელმა აბელარდო ფერნანდესმა ასევე ექსტრასელიონელ ფუსებო საკრისტანს. „მარკამ“, რა თქმა უნდა, სანაბრია გამოარჩია 8 ბალით. ძალიან სუსტად ჩაატარა ეს თამაში „ჩური ურდინის“ დაცვამ და მეკარე რულომ.

ცუდად მოთამაშე ბარსას ბარსაა

მატჩამდე გაირკვა, რომ მუხლის ტრავმის გამო, ვერ ითამაშებდა „მალაგასთან“ ნეიმარი, ბიკეს დისკვალიფიკაციის გამო კი დაცვის ხაზი ექსპერიმენტული გამოდგა. დაიწყო თამაში და უკვე მე-2 წუთზე ლუის სუარესმა ცარიელ კარში გაატანა მუნიერ ელ ჰადადის, მაგრამ ყველაფერი ასევე კარგად აღარ განვითარებულა „ბარსელონასთვის“. ანდალუსიელებმა შტურმი მოუწყვეს ბრავოს კარს და ხუანპიმ დალაშქრა კიდევ

კატალონიელთა კარი. რომ არა ლიონელ მესის ოსტატური გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში, „ბარსას“ ასეთი თამაშით ძალიან გაუჭირდებოდა სამი ქულის მოპოვება. „მარკამ“ სამი ფეხბურთელი გამოარჩია: ნაჩო კამაჩო, კლაუდიო ბრავო და ანდრეს ინიესტა (7-7 ბალი).

ლუის ენრიკე (ბარსელონა): „ამაზე ცუდად, როგორც პირველ ტაიმში ვითამაშეთ, უბრალოდ ვერ შევძლებდით ასპარეზობას. უბრალოდ წარმოუდგენელია, გოლი ასე ადრე გავიტანეთ და მერე ყველაფერი შეიცვალა. ვერ ვიხსენებ, ბოლოს როდის ვითამაშეთ ასე ცუდად პირველ ტაიმში. რომ მცოდნოდა მიზეზები, მაშინვე შევეცდებოდი გამოსწორებას. უბრალოდ, აუხსნელია.“

საერთოდ, დღეს ცუდი დღე იყო გუნდისთვის. კიდევ კარგი, მეორე ტაიმში თამაში გამოსწორდა. „მალაგასთან“ კარგი თამაში არ გამოგვივიდა, მაგრამ მეორე ტაიმში პირველს სჯობდა, თუმცა მეორე ნახევარშიც დავუშვით შეცდომები. კიდევ კარგი, მოგება მიხივ შევძელით ასეთი ცუდი თამაშის ფონზე.

ლიგაზე სამ სეზონში

„ესპანიოლს“ ახალი მფლობელი ჰყავს - ჩინელმა ბიზნესმენმა ჩენ იან-შენმა ბარსელონური კლუბის აქციების 54% შეიძინა და ფანებს აღუთქვა, რომ 3 სეზონში „ესპანიოლი“ ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშებს. შაბათს „ესპანიოლი“ ამ გზისკენ ერთი ნაბიჯს გადადგამდა მატჩის მიწურულს ურუგვაელ მცველ მატეო მუსაროს რომ არ გაეთანაბრებინა - „ვილიარეალმა“ შეძლო ქულის გადარჩენა - 2:2. ქაოტურ თამაშში ხერარდ მორენომ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და „ესპანიოლმა“ შეხვედრა 10 კაცით დაასრულა. ჯერჯერობით სწორედ „ვილიარეალი“ ინარჩუნებს ლიგაზე გამსვლელ მე-4 ადგილს და არა „ესპანიოლი“...

თირილერი

ანდალუსიაში 5-გოლიანი თირილერი ვიზილეთ - „გრანადა“ თითქოს იოლად უგებდა „ხეტაფეს“, მაგრამ მეორე ტაიმის 3-წუთიანი მონაკვეთში სტუმრებმა ორი გოლი გაიტანეს. „გრანადას“ პასუხი რუბენ როჩინას ულამაზესი გოლი იყო - 3:2. სწორედ გამარჯვების გოლის ავტორი გამოარჩია „მარკამ“ 7,5 ბალით.

როტაცია

ვიგოს „სელტამ“ მადრიდში ლამის სათადარიგო შემადგენლობა ჩაიყვანა და დაისაჯა - „რაიო ვალეკანომ“ ჯერ კიდევ პირველ ტაიმში სამი უპასუხი გოლი გაუტანა გალისიურ კლუბს, ერთი ამდენი კი მის დაბნეულ დაცვას მასპინძელთა შემტევებმა აშკარად აპატიეს. „სელტა“ ნამდვილად არ არის ის გუნდი, რომელსაც როტაციის უფლებების მიცემა შეუძლია საკუთარი თავისთვის.

შეწყვიტლი სერია

ბასკურ დერბიში „ბილბაო“ „ვიტორია“ 5:2 გაანადგურა. აღსანიშნავია არც ადურისის დუბლი გამარჯვებულთა რიგებში და ბორხა ბასტონის დუბლი ნაგებულებში. ამით „ვიტორიის“ 4-მატჩიანი მოგებათა სერია დასრულდა.

სევილიამ გაძლო

„ვიცენტე კალდერონზე“ „ატლეტიკო“ გააფთრებთ უტევედა, მაგრამ „სევილია“ კლდესავით იდგა დაცვაში. მასპინძელთა საუკეთესო შანსი ანტუან გრიზმანის თავურს მოჰყვა, რომელმაც ძელი შეაზანზარა. ერთი მომენტი „სევილიასაც“ ჰქონდა, ევერ ბანეგამ მასპინძელთა კარის ხარისხა შეაწუხა. ბოლო ნახევარი საათი ანდალუსიელებმა 10 კაცით (ვიტოლო გააძევეს) და უმწვრთნელად (ამ გაძევების გაპროტესტებისთვის უნაიემერიც მიაყოლეს) ითამაშეს, მაგრამ გაძლეს - 0:0.

ლა კორუნიამ ბოლო ნაშეზე დაუძვრა მარცხს „ვალენსია“ „დეპორტივოსთან“ თამაშში. გარი ნევილის გუნდი ალვარო ნეგრედომ იხსნა.

გვირდი მოამზადა ნიკოლოზ ნეფარიძემ

22 იანვარი

საორბინი-სოსიდადი 5:1

გოლები: 1:0 კარმონა (1), 2:0 დანი ნდი (9), 2:1 ველა (37), 3:1 სანაბრია (44), 4:1 სანაბრია (53), 5:1 სანაბრია (81)
სპორტივო (4-2-3-1): კუელიარი - ლორა, ლ. ერნანდესი, მერე, ი. ლოპესი - ს. ალვარესი (63. მასკარელი), რამიდი - კარმონა, დანი ნდი (75. პალილოფი), ჯონი (79. მენენდესი) - სანაბრია
რეალ სოსიდადი (4-3-3): რული - ზალდუა, ა. ელსტონდი (45. მ. გონსალესი), ი. მარტინესი, ექტორი - ჩაბი პრიეტო, ბერგარა (75. პარდო), ილიარამენდი - ველა, ჟონათასი, ბრუმა (46. იოიარზაბალი)
გაფრთხილება: სანაბრია, კარმონა - მარტინესი, ზალდუა
კუთხური: 6-2; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 11-9 (7-3); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.
მაყურებელი: 23 320

23 იანვარი

მალაგა-ბარსელონა 1:2

გოლები: 0:1 ელ ჰადადი (2), 1:1 ხუანპი (32), 1:2 მესი (51)
მალაგა (4-4-2): კამენი - როსალესი, ანხელერი, ვე-ლიგტონი (83. დუდა), მ. ტორესი - ხუანპი, ნაჩო კამაჩო, რესიო (69. ფორნალსი), გ. კასტრო - შარლესი, ჩოპი (80. სანტა კრუსი)
ბარსელონა (4-3-3): ბრავო - ა. ვიდალი, მასკერანო, ვერმალენი (46. მატეო), ადრიანო (73. ს. რობერტო) - არდა თურანი, ბუსკეტსი, ინიესტა - მესი, ლ. სუარესი, ელ ჰადადი (56. რაკიტჩი)
გაფრთხილება: შარლესი, ფორნალსი, დუდა - ვერმალენი, მესი, თურანი
კუთხური: 4-3; **ჯარიმა:** 16-9; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 15-12 (9-6); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.
მაყურებელი: 27 599

ესპანიოლი-ვილიარეალი 2:2

გოლები: 1:0 კაისედო (3), 1:1 ტრიგეროსი (23), 2:1 მორენო (39), 2:2 მუსამი (88)
ესპანიოლი (4-2-3-1): პაუ ლოპესი - ბ. ლოპესი, ა. გონსალესი, როკო, დურატე - დიობა, ჟორდანი - მორენო, ასენსიო, ბურგუი (68. ვ. ალვარესი) - კაისედო (43. სევილია)
ვილიარეალი (4-4-2): არეოლა - მარიო, მუსამი, ბაილი (46. ბონერა), ხ. კოსტა - ჯონათან დოს სანტოსი (65. ლ. ბაბტიშკო), ტრიგეროსი, ბურენ სორიანი, დ. სუარესი - ბაკამუ, სოლადო
გაფრთხილება: ჟორდანი, მორენო, სევილია, ალვარესი - კოსტა
კუთხური: 3-9; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 11-14 (5-5); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.
მაყურებელი: 16 251

ბრანადა-ხეტაფე 3:2

გოლები: 1:0 გ. რაიკო (27), 2:0 ელ-არაბი (36), 2:1 შიე-პოფი (70), 2:2 გ. რაიკო (73), 3:2 როჩინა (76)
გრანადა (4-2-3-1): ა. ფერნანდესი - მ. ლოპესი, ბაბენი, ლომბანი, ფულკო - ფ. რაიკო (76. კოჩინი), რ. პერესი - ე. მენდესი (67. იბანიესი), როჩინა (84. მარკესი), სანქსი - ელ-არაბი
ხეტაფე (4-2-3-1): გუაიტა - დ. სუარესი, ვერინი, კალა, იოდა - ბ. როდრიგესი (57. შიეპოფი), ლასენი - პედრო ლუიზი (57. ვანდერსონი), სარანა, ვ. როდრიგესი (71. მ. გომესი) - ა. ვასკესი
გაფრთხილება: რაიკო, როჩინა - ვანდერსონი, შიე-პოფი
კუთხური: 5-3; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 20-9 (9-2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.
მაყურებელი: 15 448

პალაჟანო-სელტა 3:0

გოლები: 1:0 მიკუ (21), 2:0 ტიტო (26), 3:0 ხოსაბედი (36)
რაიო ვალეკანო (4-2-3-1): ხუან კარლოსი - ქუინი, ზე კამპორი, ტიტო (76. დორადო), ნაჩო - დ. ლორენცე, ტრამპოზი - პ. ერნანდესი (63. მონტიელი), ხოსაბედი, ბეგე - მიკუ (69. გერა)
სელტა (4-2-3-1): ს. ალვარესი - მალიო, გოლდარი, ს. გომესი, ბლანსი (73. ხონი) - ბორხა, რადოია (46. პ. ერნანდესი) - დრაფი (66. შეხი), სენე, ბონენდა - ბო-პო
გაფრთხილება: დორადო, ქუინი, ტრამპოზი - ბო-პო
კუთხური: 7-1; **ჯარიმა:** 20-13; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 26-3 (10-1); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.
მაყურებელი: 10 780

24 იანვარი

ბილბაო-ვიტორია 5:2

გოლები: 0:1 ბასტონი (3), 1:1 ადურისი (12), 2:1 მერინო (27), 3:1 ლაპორტე (40), 3:2 ბასტონი (50-ჰენ), 4:2 ადურისი (52), 5:2 მ. დოს სანტოსი (80 ს. კ.)
ბილბაო (4-2-3-1): ერერი - დე მარკოსი, ბოვედა, ლაპორტე, ბალენზუაგა - სან ხოსე, ბენიანი (84. ვიგრა) - სუსაეტა, მუნანი (72. მ. რაიკო), მერინო (78. ლეკუე) - ადურისი
ვიტორია (4-4-2): რიესგო - კაბა, მ. დოს სანტოსი, რამისი (14. პანტინი), ფუსკა - კეკო, დ. გარსია, ადრიანი (46. ესკალანტე), ბერნინი (57. ხოსე) - ბასტონი, ენრიჩი
გაფრთხილება: ლაპორტე, სუსაეტა - ესკალანტე, კეკო
კუთხური: 7-2; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 10-9 (5-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.
მაყურებელი: 43 557

ატლანტიკო-სევილია 0:0

ატლანტიკო (4-4-2): ოლაკი - ხუანფრანკო, საეინი, გოინი, ფილიპე ლუიზი - ს. ნიგესი (76. ვ. მარტინესი), გაბი, ა. ფერნანდესი (46. ფერერა-კარასკო), კოკე - ვი-ენტო (80. ა. კორეა), გრემინი
სევილია (4-2-3-1): ს. რაიკო - კოკე, რამი, კარიო, ტრემულინა - კრიხივიაკი, ნ. ხონი - ვიტოლო, ბანეგა (76. კრისტოფორო), ესკუდერი (55. კრონ-დელი) - ფ. ლორენცე (71. გამეირი)
გაფრთხილება: ფერნანდესი, ფერერა, კორეა, ფილიპე ლუიზი - ვიტოლო, ლორენცე, კარიო, რაიკო
გაძევა: ვიტოლო (61)
კუთხური: 8-5; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 21-7 (3-1); **ბურთის ფლობა:** 70%-30%.
მაყურებელი: 52 793

დეპორტივო-პალანსია 1:1

გოლები: 1:0 ლ. პერესი (27), 1:1 ნეგრედო (93)
დეპორტივო (4-2-3-1): ლუქსი - ხუანფრანკო (87. ვი-ნათანი), არიბასი, სედნი, ფ. ნავარო - ბერგანტინოსი, მოსკერა - ფაბრი (79. ლაურე), ლუის ალბერტო, კანი (68. ლუიზინი) - ლ. პერესი
ვალენსია (4-2-3-1): რაიანი - ბარაგანი (53. ევზუ), მუსტაფა, აბდენური, გაია - ზაპიო (60. ბაკალი), დანილო - მინა (72. როდრიგო), პარეხო, ანდრე გომეზი - ნეგრედო
გაფრთხილება: ხუანფრანკო, ლუქსი, არიბასი - გომეზი, მუსტაფა, ევზუ
